Diversey
A SOLENIS COMPANY

# Divomil RD VC69

**რბილ წყალში გამოსაყენებლად ქლორის ბაზაზე დამზადებული, დაბალაქაფიანი სარეცხი საშუალება. შეიცავს სილიკატებს**

**აღწერა:**

**Divomil RD** არის დაბალი ქაფის შემცველი, ქლორირებული ტუტე სარეცხი საშუალება რბილი ლითონის ზედაპირებისა და რბილ წყალში გამოსაყენებლად, შექმნილია თვითწმენდადი იზოლირებული სისტემებისათვის (CIP) და შესხურებით წმენდისათვის.Divomil RD ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას ხელით წმენდისათვის კვების გადამამუშავებელ ქარხნებში, მაცივრების წმენდისათვის და საცხობ ინდუსტრიაში საფუარის ავზების CIP წმენდისათვის.

**ძირითადი მახასიათებლები:**

- Divomil RD-ს აქვს შესანიშნავი გამწმენდი თვისებები და განკუთვნილია კვების და სასმელების ინდუსტრიაში რბილი ლითონის ზედაპირების CIP და შესხურებით გაწმენდისათვის.
- Divomil RD-ს აქვს დაბალი ქაფის წარმოქმნის თვისებები და კარგად მუშაობს მაღალი წნევისა და ტურბულენტური პირობების დროს.

**უპირატესობები:**

- გამოიყენება ალუმინის ზედაპირებზე.
- დაბალი ქაფი საშუალებას იძლევა პროდუქტი გამოყენებულ იქნას მაღალი ტურბულენტობის პირობებში, რაც ხელს უწყობს პროდუქტის სწრაფ ჩამორეცხვას ზედაპირიდან და აუმჯობესებს გაწმენდის ეფექტურობას.

**გამოყენების წესები:**

CIP და შესხურებით გაწმენდისთვის, Divomil RD გამოიყენება 0.5-2% წონის მიხედვით (0.4-1.7% მოცულობით) კონცენტრაციით 45-75°C ტემპერატურაზე 10-20 წუთის განმავლობაში, გამოყენებისა და დაბინძურების ხარისხის მიხედვით.

ხელით რეცხვის შემთხვევაში Divomil RD გამოიყენება 0.5-1% წონის მიხედვით (0.4-0.8% მოცულობით) კონცენტრაციით 30-50°C ტემპერატურაზე 5-20 წუთის განმავლობაში.

Divomil RD -ის შემცველი ხსნარები კარგად უნდა ჩამოირეცხოს საკვებთან კონტაქტის ზედაპირებიდან, რათა თავიდან იქნას აცილებული სილიკატური ნადების წარმოქმნა.

**ტექნიკური მონაცემები**

**გარეგნული ფორმა:** გამჭირვალე მოყვითალო სითხე

**შედარებითი სიმკვრივე [20 ºC]** - 1.21

**Ph ( 1% ხსნარი 20 ºC–ზე)** - 11,5

**ჟანგბადის საჭიროება ქიმიკატში (COD)** - < 10 $gO_2/kg$

**აზოტის შემცველობა (N)** None

**ფოსფორის შემცველობა** 2 g/kg

**Divomil RD სპეციფიკური [%w/w] გამტარობა 25 ºC [mS/cm]:**

**1 - 4**

**2-7.6**

**3-11.3**

**4-14.7**

**5 – 17.9**

ზემოთნახსენები მონაცემები წარმოადგენენ ტიპიურ სიდიდეებს და სპეციფიკაციებად არ უნდა განიხილებოდნენ.

**ინფორმაცია უსაფრთხო დამუშავებასა და შენახვაზე**

შეინახეთ თავისივე კონტეინერში დახურულ მდგომარეობაში ან (სადაც შესაძლებელია) სპეც. განკუთვნილ ცისტერნაში, მოარიდეთ მაღალ ტემპერატურას. პროდუქტის გამოყენებისა და განთავსების შესახებ სრული ინსტრუქციის ნახვა შესაძლებელია არსებითი უსაფრთხოების მონაცემების ფურცელზე.

**პროდუქტის თავსებადობა**

Divomil RD -ის გამოყენება შესაძლებელია ყველა ტიპის მასალაზე, რომელიც გამოიყენება სასმელებისა და საკვების წარმოების ობიექტების აღჭურვილობის წარმოებაში, იმ პირობით, რომ დაკმაყოფილებულია რეკომენდებული პირობები. თუ პროდუქტის გამოყენებისას რაიმე მოულოდნელი შედეგი გამოვლინდა, რეკომენდებულია მასალების თავსებადობის შემოწმება შემდგომი გამოყენების წინ.

**ტესტირების მეთოდი:**

**რეაგენტები:** 0.1 N მარილმჟავას ან გოგირდმჟავას ხსნარი
0.1 N ნატრიუმის თიოსულფატი
ფენოლფთალეინის ინდიკატორი

**პროცედურა:** სატესტო ხსნარის 20 მლ-ს დაუმატეთ დაახლოებით 10 მლ 0.1N ნატრიუმის თიოსულფატი, კარგად აურიეთ და გააჩერეთ დაახლოებით 30 წამი. დაუმატეთ ინდიკატორის ხსნარის 2-3 წვეთი და ტიტრაცია მოახდინეთ მჟავათი, სანამ ხსნარი უფერული არ გახდება.

**კალკულაცია:** w/w Divomil RD = ტიტრი (mls) x 0.31
v/v Divomil RD = ტიტრი (mls) x 0.26

Cleantech